გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია „დეასა“ და

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას შორის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

„ადგილობრივი თემების ინფორმირებულობა და ჩართვა საძოვრების მდგრადი მართვისა და ბიომრავალფეროვნების კონსრვაციის პროცესებში “ პროექტის ფარგლებში

სენაკი. 01 ნოემბერი, 2022 წელი

მემორანდუმი ეფუძნება:

გარემოსდაცვითი განათლებისა და სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობას გარემოსადმი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების მქონე საზოგადოების ფორმირების საქმეში, მათ ინფორმირებულობას კლიმატის ცვლილების საკითხებზე და ჩართვას ბიომრავალფეროვნებისა და საძოვრების დაცვის ღონისძიებებში გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტის „ადგილობრივი თემების ინფორმირებულობა და ჩართვა საძოვრების მდგრადი მართვისა და ბიომრავალფეროვნების კონსრვაციის პროცესებში“ მეშვეობით. მემორანდუმზე ხელმომწერი ორგანიზაციები ვერთიანდებით რათა,ერთად ვიზრუნოთ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლებაზე,მათთვის სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ხელსაყრელი გარემოს შექმნისა და საძოვრების მდგრადი მართვის მოდელის გაცნობისა და დანერგვისათვის.

1. ზოგადი დებულებები

ა) მემორანდუმზე ხელმოწერით, მხარეები ქმნიან ნებაყოფლობით პრინციპებზე დაფუძნებულ თანამშრომლობის პლატფორმას;

ბ) პლატფორმა ღიაა ფართო თანამშრომლობისათვის;

დ) თანამშრომლობა ეფუძნება საზოგადოებრივ ინტერესებს;

ე) თანამშრომლობის ფარგლებში მომზადებული/შექმნილი ინფორმაცია საჯაროა.

2. ურთიერთანამშრომლობის მიზანი

მემორანდუმის მიზანია, მოსახლეობის მხარდაჭერა საძოვრების ელექტროღობით შემოკავებისა და გაკულტურების საქმეში მეცხოველეობის პროდუქციის ზრდისა და მტაცებელი ცხოველებისგან (მგელი,ტურა) დაცვის მიზნით,რაც ასევე ხელს შეუწყობს კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებული ბიომრავალფეროვნების დაცვას უკონტროლო ძოვებისაგან..
პოპულარიზაცია გაუწიონ პროექტს და ერთად დაგეგმილ აქტივობებს საკუთარ სოციალურ გვერდებზე

3. მხარეთა თანამშრომლობის სფერო

მხარეები თანხმდებიან საძოვრების გაკულტურების მიზნით ერთწლოვანი კულტურის სათესლე მასალის შესყიდვა, ელექტროღობის მასალების შეძენისა და მონტაჟის მომსახურეობის ხარჯების გადახდა განხორციელდება წარმოდგენილი ინვოისების მიხედვით თანამონაწილეობითი პრინციპით.

ასოციაცია „დეა"უზრუნველყოფს სათესლე მასალის შესყიდვას, შეთესვას სრულად , ხოლო ელექტროღობის მასალების ნაწილის შესყიდვას ღირებულების 40 %- 2400 ლარის თანადაფინანსებით.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია უზრუნველყოფს ელექტროღობის მასალებისა და მონტაჟის შესყიდვას ღირებულების 60 % - 3578 ლარის თანადაფინანსებით.

პროექტის დასრულების შემდეგ დამონტაჟებული ელექტროღობე ძემდგომი მოვლა-პატრონობის მიზნით გადაეცემა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას ასოციოაცია „დეასა"და სენაკის მერიას შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

გარდამავალი დებულებები

ა) მემორანდუმი იდება 3 თვის ვადით და ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე;

გ) თითოეულ მხარეს შეუძლია, შეწყვიტოს მემორანდუმი ნებისმიერ დროს, წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

მემორანდუმი შედგენილია, 2022 წლის 17 ოქტომბერი ორეგზემპლარად. თითოეული ტექსტი თანაბრად ავთენტურია

მემორანდუმზე ხელმომწერი ორგანიზაციები:

გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია „დეას"

თავმჯდომარე:

თამარ მალანია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

ვახტანგ გადელია